მოქალაქის გზამკვლევი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

გზამკვლევი მომზადებულია ბაღდათის
მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

2022 წელი

სარჩევი

შესავალი 3

ტერმინთა განმარტება 4

რა არის ბიუჯეტი? 5

საბიუჯეტო პროცესი 7

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 9

ბიუჯეტის სტრუქტურა 9

პრიორიტეტის დოკუმენტის სტრუქტურა 10

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 12

შემოსულობები 12

გადასახდელები 16

პრიორიტეტები და ასიგნებები 18

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები ..... Error! Bookmark not defined.

02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება ..... Error! Bookmark not defined.

03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა ..... Error! Bookmark not defined.

04 00 განათლება ..... Error! Bookmark not defined.

05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები. Error! Bookmark not defined.

06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ..... Error! Bookmark not defined.

07 00 ეკონომიკის ანვითარების ხელშეწყობა 24

შესავალი

მოცემული გზამკვლევის მიზანია მოქალაქეს ქონდეს ინფორმაცია ბიუჯეტის, საბიუჯეტო პროცესის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ.

გზამკვლევში მოკლედაა განხილული ის ძირითადი საკითხები რომელსაც მოიცავს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკების, ჩარტების და ვიზუალიზაციის სხვადასხვა საშუალებების სახით ადვილად აღსაქმელად.

ტერმინთა განმარტება

ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ორგანოების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობები, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

დამტკიცებული ბიუჯეტი - შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

დაზუსტებული ბიუჯეტი - კორექტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

ასიგნება - საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება;

პრიორიტეტი - საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს;

პროგრამა - ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოოს შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

ქვეპროგრამა - მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა.

რა არის ბიუჯეტი?

ბიუჯეტი არის განსაზღვრული პირის (ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს და ა.შ.) შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით.

სიტყვა ბიუჯეტი მომდინარეობს ინგლისური სიტყვისგან budget, რაც ტომარას ნიშნავს. როდესაც ინგლისის პარლამენტში მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იდო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას. თანამედროვე გაგებით ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანობას წარმოადგენს. იგი სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. სახელმწიფო ფინანსები თავის მხრივ ქვეყნის ფინანსური სისტემის ძირითადი ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელების ინსტრუმენტია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს და ის არ მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ შემოსავლების და ხარჯების შესახებ. ფინანსური ინფორმაციის გარდა ბიუჯეტში აღწერილია ის ძირითადი პრიორიტეტები რომლის შესრულებასაც მუნიციპალიტეტი გეგმავს შესაბამისი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით. პრიორიტეტის დოკუმენტის არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ



მოცემულ მაგალითში პრიორიტეტი „ინფრასტრუქტურის განვითარება“-ს ერთ-ერთი პროგრამაა „წყლის სიტემების განვითარება“ რომელიც თავის მხრივ შედგება ორი ქვეპროგრამისგან.

საბიუჯეტო პროცესი

საბიუჯეტო პროცესი არის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

ბიუჯეტის პროექტის და ცვლილებების მომზადებას, დაზუსტებას, შესრულებას და ანგარიშგებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო განხილვას და დამტკიცებას საკრებულო. ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახური, მუნიციპალიტეტის საკრებულო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

ერთი საბიუჯეტო ციკლი მომზადებიდან დამტკიცების ჩათვლით 24 თვეს შეადგენს. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (მერია) ყოველი წლის პირველი მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აცნობებს მუნიციპალიტეტის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია 15 ნოემბრამდე საკრებულოს წარუდგინოს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი. საკრებულო განიხილავს და შენიშვნების და რეკომენდაციების შემთხვევაში პროექტს უბრუნებს მერიას 25 ნოემბრამდე. შესწორებულ პროექტს მერია საკრებულოს უგზავნის 10 დეკემბრამდე. წლის ბოლომდე მტკიცდება ბიუჯეტი. მომდევნო წლის განმავლობაში ხდება ბიუჯეტის დაზუსტება და კვარტალური ანგარიშგება. საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ მერია ვალდებულია 2 თვის ვადაში საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.



- ✓ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან;
- ✓ მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი შემოსულობები (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები);
- ✓ თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე;
- ✓ საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

საკრებულოს ბიუჯეტის დასამტკიცებლად წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

- ❖ ბიუჯეტის პროექტი;
- ❖ ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი
- ❖ პრიორიტეტების დოკუმენტი
- ❖ პროგრამული დანართი რომელიც მოიცავს თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერას, მოსალოდნელ შედეგებს და შედეგების შეფასების ინდიკატორებს

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მისაღები ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელების (გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა) და ნაშთის ცვლილების (შესაბამისი პერიოდისთვის არსებული ფულადი სახსრები) ერთობლიობას.

ბიუჯეტის სტრუქტურა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგება 3 თავისგან

თავი I ბიუჯეტის მაჩვენებლები	თავი I მოიცავს ინფორმაციას ბიუჯეტის ბალანსის, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ
ბიუჯეტის შემოსავლები	ამ თავში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსავლების (საგადასახადო შემოსავლები, გრანტები, სხვა სემოსავლები) შესახებ
ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია	განსაზღვრულია ხარჯების მოცულობა, არაფინანსური აქტივების (ქონების) ცვლილება
საოპერაციო და მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილება	საუბარია საოპერაციო და მთლიან სალდოზე, ფინანსურ აქტივებზე (ამ შემთხვევაში ნაშთი) და ბიუჯეტის ვალდებულებებზე
თავი II ბიუჯეტის პრიორიტეტები	ეს ნაწილი დათმობილია მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტებისთვის, განსაზღვრულია დაფინანსება და აღწერილია პრიორიტეტები/პროგრამები/ქვეპროგრამები
ბიუჯეტის ასიგნებები	ამ თავში ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით კონკრეტული პრიორიტეტების/პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსების შესახებ
თავი III მარეგულირებელი ნორმები	ნორმები და კანონები რითაც რეგულირდება გადასახდელების დაფინანსება

პრიორიტეტის დოკუმენტის სტრუქტურა

პრიორიტეტის დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის (2020-2025 წლები)

პრიორიტეტის დოკუმენტი შედგება სამი თავისგან

თავი I ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ	მცირე ინფორმაცია ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის, ბიუჯეტის და ა.შ შესახებ
თავი I ძირითადი ფინასური მაჩვენებლები	✓ გასული და მიმდინარე წლების მოკლე მიმოხილვა, ✓ შემოსულობები და გადასახდელები ✓ 2021-2023 წლების ბიუჯეტის ბალანსი
თავი II პრიორიტეტები და პროგრამები	ინფორმაცია პრიორიტეტების/პროგრამების/ქვეპროგრამების და მათი დაფინანსების შესახებ

პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა არის შემდეგი სახის:

მაგალითად, პრიორიტეტი **დასუფთავება და გარემოს დაცვა**

პრიორიტეტში აღწერილია რა უნდა გაკეთდეს და რა მიზნით

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეპიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, დამატებითი ურნების დადგმა, არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა და სხვა.

პრიორიტეტებს, პროგრამებს და ქვეპროგრამებს აქვთ გარკვეული კოდები რომელსაც ორგანიზაციული ან პროგრამული კოდი ჰქვიათ

გეგმა - მიმდინარე საბიუჯეტო წლისთვის დაგეგმილი გადასახდელი

პროექტი - ბიუჯეტის დამტკიცებამდე დასაგეგმი წლისთვის განსაზღვრული დაფინანსება

ორგ. კოდი	დასახელება	2021წლის ფაქტი	2022წლის გეგმა	2023წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,298.9	1,249.9	1.665.0	1.665.0	1,665.0	1,665.0
03 01	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	**1,295.6**	**1,249.9**	**1.660.0**	**1.660.0**	**1,660.0**	**1,660.0**
03 01 01	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება	1,295.6	1,249.9	1.660.0	1.660.0	1,660.0	1,660.0
03 02	**ქალაქის გამწვანება**	**3.3**	**0.0**	**5.0**	**5.0**	**5.0**	**5.0**

ფაქტი ნიშნავს, რომ საბიუჯეტო წელი დაიხურა და აღნიშნული ხარჯი უკვე გაწეულია

პროგნოზი - დასაგეგმისშემდგომი 3 წლისთვის განსაზღვრული დაფინანსება. პროგნოზი იცვლება ყოველწლიურად შემოსულობების დაზუსტებასთან ერთად

პროგრამა

პროგრამული/ორგანიზაციული კოდი

პროგრამის დასახელება

პროგრამის დასახელება	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**
პროგრამული კოდი	03 01
ფუნქციონალური კოდი	751
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება, დამატებითი ურნებისა დადგმა
პროგრამის მიზანი	პროგრამა ემსახურება ტერიტორიის დასუფთავებას, ქალაქში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთას და ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი

ვინ ახორციელებს პროგრამას

რას გულისხმობს პროგრამა

რა მიზანს ემსახურება და რა შედეგი უნდა მივიღოთ პროგრამის განხორციელებით

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-6,15 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	**შედეგი 1:** სუფთა ქუჩები.შენარჩუნებულია სანიტარული წესრიგი

შედეგი

პროგრამულ დანართში პრიორიტეტების დოკუმენტში პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერასთან ერთად მოცემულია ის ინდიკატორები რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს და გაიზომოს მიღწეული შედეგები

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	**#**	**პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**	**ინდიკატორის დადასტურების საშუალება**	**ინდიკატორის მაჩვენებლები**	**2022 გეგმა**	**2023 პროგნოზი**	**2024 პროგნოზი**	**2025 პროგნოზი**
შედეგი 1:	1	დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი		საბაზისო მაჩვენებელი 2021 წელი	გეგმა - 126 850 კვ.მ-ს დასუფთავება			
				მიზნობრივი მაჩვენებელი	იგეგმება 126 850 კვ.მ-ს დასუფთავება	იგეგმება 126 850 კვ.მ-ს დასუფთავება	იგეგმება 126 850 კვ.მ-ს დასუფთავება	იგეგმება 126 850 კვ.მ-ს დასუფთავება
				ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	5%	5%	5%	5%
				შესაძლო რისკები	არაობიექტური ინფორმაცია	არაობიექტური ინფორმაცია	არაობიექტური ინფორმაცია	არაობიექტური ინფორმაცია

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსულობები

შემოსულობა და შემოსავალი განსხვავდება ერთმანეთისგან. შემოსულობა მოიცავს შემოსავალს. ის არის ბიუჯეტში მიღებული/მისაღები ფულადი სახსრების ერთობლიობა (დაფინანსების ყველა წყაროდან).



შემოსავალი თავის მხრივ შედგება შემდეგი ტიპის შემოსავლებისგან



2023 წლისათვის შემოსავლების პროგნოზი შეადგენს 8,390.3 ათას ლარს. მათ შორის:

გადასახადები - 9,220.0 ათასი ლარი (დღგ- 8,420.0 ათასი ლარი; ქონების გადასახადი - 800.0 ათასი ლარი)

გრანტები - 160.0 ათასი ლარი

სხვა შემოსავლები - 935.0 ათასი ლარი

გადასახადების მოცულობა ყოველწლიურად განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

გრანტები წარმოადგენს ტრანსფერებს რომლებიც კონკრეტული ღონისძიებების/პროექტების/მიზნების განსახორციელებლად ეძლევა მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებიდან. მოცემულ შემთხვევაში 160.0 ათასი ლარი არის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (დელეგირება: ნდობის, უფლების, ვალდებულების გადაცემა). ის გადმოცემულია შემდეგი კანონის საფუძველზე და ნაწილდება შემდეგნაირად

- ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 62,0 ათასი ლარი;
- ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 96,0 ათასი ლარი.
- მე 2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯები – 2,0 ათასი ლარი

სხვა შემოსავლები მოიცავს იმ შემოსავლებს რომლებიც არ განეკუთვნებიან არც საგადასახადო შემოსავლებს და არც გრანტებს. ესენია: დასუფთავების მოსაკრებელი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, ჯარიმები, სანქციები და საურავები, მუნიციპალიტეტის მიერ კომერციული ბანკის დეპოზიტზე განთავსებული საპროცენტო შემოსავალი და ა.შ

არაფინანსური აქტივების კლება არის მუნიციპალური ქონების რეალიზაცია/პრივატიზაცია. მაგ.: შენობა-ნაგებობა ან მიწა. ეს ხორციელდება ელექტრონული აუქციონის საშუალებით.

არაფინანსური აქტივების კლება წარმოადგენს შემოსულობას და არა შემოსავალს, რადგან ქონების გაყიდვა აქტივის სახეცვლილებაა. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა გაყიდა 10.0 ათას ლარად შენობა. გაყიდვამდე ეს 10.0 ათასი ლარი შენობაში იყო განივთებული და რეალიზაციის შემდეგ უბრალოდ ფორმა (სახე) შეიცვალა. ეს ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტს 10.0 ათასი ლარი შენობის სახით ჰქონდა. 2023 წლისთვის ბაღდათის მუნიციპალიტეტი გეგმავს 490.0 ათასი ლარის ღირებულების ქონების გაყიდვას.

ვალდებულებების ზრდა გულისხმობს სესხის აღების შედეგად მიღებულ ფინანსურ სახსრებს. ვალდებულება შეიძლება იყოს საშინაო და საგარეო. მუნიციპალიტეტს სესხის აღება მხოლოდ მთავრობის ნებართვის საფუძველზე შეუძლია. 2023 წლისთვის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ზრდა 0-ის ტოლია, რაც ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი არ გეგმავს სესხის აღებას.

ჯამურად, 2022 წლისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10,805.0 ათასი ლარით

სახეობების მიხედვით შემოსავლების/შემოსულობების წილი (%) მთლიან შემოსულობებში



გადასახდელები

გადასახდელები არის ბიუჯეტიდან გასაწევი ფულადი სახსრების ერთობლიობა. გადასახდელები და ხარჯები სხვადასხვა რამაა.

გადასახდელები მოიცავს:

- **ხარჯებს**
- **არაფინანსური აქტივების ზრდას**
- **ფინანსური აქტივების ზრდა**
- **ვალდებულებების კლებას**

ხარჯები მოიცავს:

- ***შრომის ანაზღაურებას*** (თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების ხელფასი);
- საქონელს და მომსახურებას (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ხელფასი, კომუნალური, საფოსტო მომსახურების, მივლინების, წარმომადგენლობითი, ტრანსპორტის დაქირავების და სხვა ხარჯები)
- ***პროცენტს*** (მუნიციპალიტეტის მიერ აღებულის სესხის პროცენტის მომსახურება)
- ***სუბსიდიებს*** (მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.(ა).ი.პ-ების დაფინანსება)
- ***გრანტებს*** (ბაღდათის შემხვევაში სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების საწევრო)
- ***სოციალურ უზრუნველყოფას*** (სოციალური დახმარება და ბიულეტენების ანაზღაურება)
- ***სხვა ხარჯებს*** (სარეზერვო ფონდი, დავალიანების დაფარვის ფონდი, არაკლასიფიცირებული ხარჯები, კაპიტალური ხარჯები და სხვა)

არაფინანსური აქტივების ზრდა არაფინანსური აქტივების კლებისგან (ქონების გაყიდვა) განსხვავებით ქონების შექმნისთვის გაწეული დანახარჯია. მაგალითად როცა მუნიციპალიტეტი აგებს გზებს ეს ქონების შექმნა ანუ არაფინანსური აქტივის ზრდაა.

ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსურ მოთხოვნებს, მონეტარულ ოქროსა და ნასესხობის სპეციალური უფლებებს. მსგავსი ტიპის გადასახდელების დაფინანსება ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ ხდება.

ვალდებულებების კლება არის მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის ძირის დაფარვა. ბაღდათის მუნიციპალიტეტმა 2017 წელს აიღო სესხი ნაგვის მანქანების და ურნების შესაძენად ჯამური მოცულობით 584.1 ათასი ლარი. ყოველწლიურად ძირის დაფარვისთვის (ვალდებულების კლება) გადაიხდება 55.7 ათასი ლარი. გრაფიკის მიხედვით სესხი სრულად უნდა დაიფაროს 2026 წელს.

2022 წლის ბიუჯეტის პროექტით გადასახდელები 10,805.0 ათასი ლარის ტოლია





გადასახდელები

10,805.0

შემოსულობები

10,805.0

პრიორიტეტები და ასიგნებები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დაფინანსების შესახებ 2021-2023 წლებში

ორგ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროგნოზი		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
0100	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,694.0	3,886.5	2,921.6	964.9	4,052.2	3,956.2	96.0
0200	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია	7,313.7	7,924.8	2,137.0	5,787.8	791.0	791.0	0.0

	და ექსპლოატაცია							
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,204.4	1,320.4	1.320.4	0.0	1,665.0	1,665.0	0.0
04 00	განათლება	1,648.9	2,037.6	1,489.8	547.7	1,740.0	1,740.0	0.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,019.1	1,267.9	1.267.9	0.0	1,746.0	1,746.0	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	605.1	629.9	573.4	56.5	770.8	706.8	64.0
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშწყობა	0.0	0.0	0.0	0.0	40.0	40.0	0.0
	სულ ჯამი	**14,485.5**	**17,078.8**	**9,710.1**	**7.356.9**	**10,805.0**	**10,645.0**	**160.0**

1.პრიორიტეტი-მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.(01 00)

2 პრიორიტეტი-ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (02 00)

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
01 00	**მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	4,052.2	3,956.2	96.0	4,373.0	4,757.7	5,170.1
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება.**	3,891.2	3,795.2	96.0	4,212.0	4,596.7	5,004.1
01 01 01	ბაღდათის საკრებულო	935.0	935.0	0	985.0	1,090.0	1,180.0
01 01 02	ბაღდათის მერია	2,846.2	2,846.2	0	3,112.0	3,391.7	3,709.1
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის უზრუნველყოფა	110.0	14.0	96.0	115.0	115.0	115.0
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	155.0	155.0	0	155.0	155	160
01 02 01	სარეზერვო ფონდი	30.0	30.0	0	30.0	30	35
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდი.	0	0	0	0	0	0
01 02 03	სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება და კანონით გათვალისწინებული თანხების ჩამოჭრა	0.0	0.0	0	0	0	0
01 02 04	სესხის მომსახურება და დაფარვა (მგფ)	100	100	0	100	100	100
01 02 05	თანამშრომელთ პროფესიული სწავლების ხარჯი	25	25	0	25	25	25
01 04	საგანგებო მდგომარეობის მიზნობრივი პროგრამა	6.0	6.0	0	6.0	6.0	6.0

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა ,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	791.0	791.0	0.0	740.0	1,072.0	1,506.0
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	80.0	80.0	0.0	100.0	150.0	250.0
02 01 01	ტროტუარების მოწყობა,მოვლა-პატრონობა	0	0	0	0	0	0
02 01 02	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია.	80.0	80.0	0.0	100.0	150.0	250.0
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	120.0	120.0	0	50.0	110.0	200.0
02 02 01	სანიაღვრე არხების მშენებლობა,რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	60.0	60.0	0	50.0	60.0	100.0
02 02 02	წყლის სისტემების მშენებლობა,რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	60.0	60.0	0	0.0	50.0	100.0

02 03	**გარე განათების ქსელის მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	380.0	380.0	0	380.0	450.0	450.0
02 04	**მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**	6.0	6.0	0	5.0	57.0	85.0
02 04 01	მრავალბინიანი სახლების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	50.0	80
02 04 02	საკადასტრო რუქის დამზადება	5.0	5.0	0	5.0	5.0	5.0
02 04 03	შადრევნების ექსპლოატაცია	1	1	0	0	2.0	0
02 05	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები**	25.0	25.0	0.0	25	25	25
02 06	**საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა**	40.0	40.0	0	40.0	60.0	106.0
02 07	**მშენებლობა-რეაბილიტაცია**	60.0	60.0	0.0	60.0	130.0	240.0
02 07 01	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა,რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	40.0	40.0	0.0	40.0	70.0	100.0
02 07 02	საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა,მოწყობა რეაბილიტაცია	20.0	20.0	0	20.0	60.0	140.0
02 08	**მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა**	0.0	0.0	0	0	0	0
02 09	**საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა**	80.0	80.0	0	80.0	90.0	150.0

3.პრიორიტეტი-დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

პროგრამული კოდი	**პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება**	**2023 წლის გეგმა**			**2024 წლის პროგნოზი**	**2025 წლის პროგნოზი**	**2026 წლის პროგნოზი**
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
03 00	**დასუფთვება და გარემოს დაცვა**	1,665.0	1,665.0	0.0	1,665.0	1,665.0	1,665.0
03 01	**დასუთავება და ნარჩენების გატანა**	1,660.0	1,660.0	0.0	1,660.0	1,660.0	1,660.0
03 01 01	ააიპ ბღდათის კეთილმოწყობის დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება	1,660.0	1,660.0	0.0	1.660.0	1,660.0	1,660.0
03 02	**ქალაქის გამწვანება**	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	5.0

4.პრიორიტეტი-განათლება (04 00)

		2023წლის გეგმა			

პროგრამული კოდი	**პროგრამის/ქვეპროგრამის /ღონისძიების დასახელება**	**სულ**	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები	**2024წლის პროგნოზი**	**2025 წლის პროგნოზი**	**2026 წლის პროგნოზი**
04 00	**განათლება**	1,740.0	1,740.0	0.0	1,740.0	1,740.0	1,740.0
04 01	**სკოლამდელი აღზრდა**	1,740.0	1,740.0	0.0	1,740.0	1,740.0	1,740.0
04 01 01	ააიპ.ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება.	1,740.0	1,740.0	0.0	1,740.0	1,740.0	1,740.0
04 02	სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

5.პრიორიტეტი-კულტურა,რელიგია,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები. (05 00)

პროგრამული კოდი	**პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება**	**2023 წლის გეგმა**			**2024 წლის პროგნოზი**	**2025 წლის პროგნოზი**	**2026 წლის პროგნოზი**
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
05 00	**კულტურა,რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი**	1,746.0	1,746.0	0.0	1,703.0	1,698.0	1,698.0
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	638.0	638.0	0.0	618.0	608.0	608.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	20.0
05 01 02	ააიპ.ბაღდათის სპორტის და მოზარდთა აქტივობის ცენტრი	615.0	6155.0	0.0	595.0	585.0	585.0
05 01 03	ააიპ. საფეღბურთო კლუბი საირმე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 04	ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0
05 02	**კულტურის განვითარების ხელშწყობა**	1,005.0	1,005.0	0.0	1000.0	1000.0	1000.0
05 02 01	ააიპ. ბაღდათის ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრი	980.0	980.0	0.0	980.0	980.0	980.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	25.0	25.0	0.0	20.0	20.0	20.0

05 03	**ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**	33.0	33.0	0.0	15.0	20.0	20.0
05 04	**ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა**	70.0	70.0	0.0	70.0	70.0	70.0

.პრიორიტეტი- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველოფა. (06 00)

პროგრამული კოდი	**პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება**	**2023წლის გეგმა**			**2024 წლის პროგნოზი**	**2025 წლის პროგნოზი**	**2026 წლის პროგნოზი**
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველოფა.**	770.8	706.8	64.0	766.3	698.9	808.9
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	122.8	60.8	62.0	117.8	117.8	117.8
06 01 01	ააიპ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	122.8	60.8	62.0	117.8	117.8	117.8
06 02	**სოციალური პროგრამები**	638.0	636.0	2.0	638.5	643.5	643.5
06 02 01	სამედიცინო დახმარების ხარჯები	190.0	190.0	0.0	190.0	195.0	195.0
06 02 02	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	2.0	0.0	2.0	2.0	2.0	2.0
06 02 03	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები	2.5	2.5	0.0	2.5	2.5	2.5
06 02 04	უფასო სასადილოების დაფინანსება	60.0	60.0	0.0	60.0	60.0	60.0
06 02 05	ოჯახის ბავშვების სოციალური დაცვა	19.5	19.5	0.0	20.0	20.0	20.0
06 02 06	სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 07	თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარება	50.0	50.0	0.0	50.0	50.0	50.0
06 02 08	ვეტერანთა დახმარება	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	20.0
06 02 09	შშმ პირთა დახმარება	40.0	40.0	0.0	40.0	40.0	40.0
06 02 10	ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	2.0

06 02 11	დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკის) მოქალაქეთა დახმარება	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	5.0
06 02 12	დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	45.0
06 02 13	ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვიანი ოჯახების დახმარება	15.0	15.0	0.0	15.0	15.0	15.0
06 02 14	მარტოხელა მშობლის დახმარება	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	5.0
06 02 15	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	12.0	12.0	0.0	12.0	12.0	12.0
06 02 16	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0
06 02 17	მედიკამენტების დაფინანსება	60.0	60.0	0.0	60.0	60.0	60.0
06 02 18	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირების და რეაბილიტაციის პროგრამა	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	5.0
06 02 19	სასურსათო პაკეტებით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 20	საცხოვრებლით უზრუნველოფა	60.0	60.0	0.0	60.0	60.0	60.0
06 02 21	ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის თანადაფინანსება	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	10.0
06 02 22	ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება	25.0	25.0	0.0	25.0	25.0	25.0
06 02 23	ტრანსპორტით უზრუნველყოფა	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	7.0
06 03	**გენდერული თანასწორობის ხელშწყობა**	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	10.0

7. პრიორიტეტი-ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 00)

პროგრამული კოდი	**პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება**	**2023 წლის გეგმა**			**2024 წლის პროგნოზი**	**2025 წლის პროგნოზი**	**2026 წლის პროგნოზი**
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
07 00	**ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**	40.0	40.0	0.0	40.0	40.0	40.0
07 01	სოფლის მეურნეობის მხრდაჭერა	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	20.0
07 02	ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	20.0